თსუ ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და
ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს
2026 წლის 2 ოქტომბრის სხდომის

ო ქ მ ი N 5

2026 წლის 2 ოქტომბერს შედგა თსუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ სამეცნიერო საბჭოს წევრები, მთავარი მეცნიერი თანამშრომლები: **გიორგი ჭეიშვილი, ლავრენტი ჯანიაშვილი, ლევან გორდეზიანი, ვალერიან ვაშაკიძე, მარიამ ჩხარტიშვილი, ეკა კვაჭანტირაძე, ავთანდილ სონღულაშვილი, ალექსანდრე დაუშვილი, ქეთევან ხუციშვილი, ნინო მინდაძე, როლანდ თოფჩიშვილი, ლიანა ბითაძე**. საბჭოს სხდომას ესწრებოდა სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობის ნახევარზე მეტი (დანართი 1).

სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც მათ წინასწარ ჰქონდათ ელექტრონულად გაგზავნილი:

1. **ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში მეცნიერი თანამშრომლების სამსახურში მისაღებად გამოცხადებული კონკურსის (რექტორის ბრძანება N236/01-01, 15.09.2026) კომისიის შექმნა.**
2. **წლიური თემების მონიტორინგის ჯგუფის შექმნა.**
3. **მიმდინარე საკითხები.**

კენჭისყრის შედეგად, დღის წესრიგი ერთხმად იქნა მიღებული.

მოისმინეს:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში მეცნიერი თანამშრომლების სამსახურში მისაღებად გამოცხადებული კონკურსის (რექტორის ბრძანება N236/01-01, 15.09.2026) კომისიის შექმნა.

ლავრენტი ჯანიაშვილმა სამეცნიერო საბჭოს წარუდგინა მეცნიერი თანამშრომლების სამსახურში მისაღებად გამოცხადებული კონკურსის კომისიის წევრთა კანდიდატურები:

გიორგი ჭეიშვილი – ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის დოქტორი; ინსტიტუტის დირექტორი;

ავთანდილ სონღულაშვილი - ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების ხელმძღვანელი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა

დოქტორი;
როლანდ თოფჩიშვილი - ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის კავკასიის ეთნოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი.

გაიმართა მსჯელობა, **აზრი გამოთქვეს:** გიორგი ჭეიშვილმა, ვალერიან ვაშაკიძემ, ავთანდილ სონღულაშვილმა, მარიამ ჩხარტიშვილმა და სხვა.

ჩატარდა ღია კენჭისყრა: **მომხრე - 12 წინააღმდეგი - 0 თავი შეიკავა - 0**.

დაადგინეს: შეიქმნას სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულში – ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში მეცნიერი თანამშრომლების სამსახურში მისაღებად გამოცხადებული კონკურსის კომისია წარმოდგენილი შემადგენლობით.

ლავრენტი ჯანიაშვილმა კომისიის თავმჯდომარედ წამოაყენა გიორგი ჭეიშვილის კანდიდატურა; კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ - როლანდ თოფჩიშვილის კანდიდატურა; კომისიის მდივნად - ავთნდილ სონღულაშვილის კანდიდატურა.

ჩატარდა ღია კენჭისყრა: **მომხრე - 12 წინააღმდეგი - 0 თავი შეიკავა - 0.**

დაადგინეს: საკონკურსო კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნას გიორგი ჭეიშვილი, კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ - როლანდ თოფჩიშვილი, კომისიის მდივნად - ავთანდილ სონღულაშვილი.

2. წლიური თემების მონიტორინგის ჯგუფის შექმნა.

ლავრენტი ჯანიაშვილი: ინსტიტუტში მიმდინარე სამეცნიერო საქმიანობის უფრო ეფექტურად წარმართვის მიზნით, 2026 წლის ბოლოს, კერძოდ 20-დან 28 დეკემბრამდე, დირექციისა და სამეცნიერო საბჭოს მიერ დაგეგმილია წლიური ნაშრომებისა და ასევე, სხვა სამეცნიერო საქმიანობის მონიტორინგი. აღნიშნულ პერიოდში განყოფილებებმა, მათთვის კონკრეტულად განსაზღვრულ დროს უნდა წარმოადგინონ დასრულებული წლიური ნაშრომები მატერიალური სახით, ხოლო ელექტრონული ვერსია გაგზავნონ ინსტიტუტის ფოსტაზე. ასევე, შემოწმდება სამეცნიერო ბიბლიოთეკისა და ისტორიული და ეთნოლოგიური არქივის მიერ წლის განმავლობაში შესრულებული საქმიანობა.

წარმოგიდგენთ წლიური თემების მონიტორინგის ჯგუფის წევრთა კანდიდატურებს: ვალერიან ვაშაკიძე, ალექსანდრე დაუშვილი, ხათუნა იოსელიანი.

გაიმართა მსჯელობა, **აზრი გამოთქვეს:** გიორგი ჭეიშვილმა, ქეთევან ხუციშვილმა, ავთანდილ სონღულაშვილმა და სხვა.

ჩატარდა ღია კენჭისყრა: **მომხრე - 12 წინააღმდეგი - 0 თავი შეიკავა - 0**.

დაადგინეს: შეიქმნას წლიური თემების მონიტორინგის ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით: **ვალერიან ვაშაკიძე** - ძველის ქვეყნების ისტორიის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, დირექტორის მოადგილე; **ალექსანდრე დაუშვილი** - ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი; **ხათუნა იოსელიანი** - საქართველოს ეთნოლოგიის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი.

3. მიმდინარე საკითხები.

გიორგი ჭეიშვილი: მინდა გაცნობოთ, რომ ნოემბრის დასაწყისში ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების ორგანიზებით გაიმართება სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც მიეძღვნება იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის“ 150 წლისთავს.

განყოფილებების ხელმძღვანელებს ვთხოვ, მიმდინარე წლის 15 ოქტომბრამდე წარმოადგინონ კრებულების ელექტრონული ვერსიები, რათა დროულად გამოცხადდეს ტენდერი მათ დასაბეჭდად.

სხდომამ დაადგინა:

1. შეიქმნას სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულში – ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში მეცნიერი თანამშრომლების სამსახურში მისაღებად გამოცხადებული კონკურსის კომისია შემდეგი შემადგენლობით:

გიორგი ჭეიშვილი – კომისიის თავმჯდომარე - ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის დოქტორი, ინსტიტუტის დირექტორი;

როლანდ თოფჩიშვილი - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე - ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის კავკასიის ეთნოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი;

ავთანდილ სონღულაშვილი - ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების ხელმძღვანელი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი.

და ეცნობოს თსუ-ს ადმინისტრაციას შემდგომი მსვლელობისათვის.

2. **შეიქმნას წლიური თემების მონიტორინგის ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:**
ვალერიან ვაშაკიძე - ძველის ქვეყნების ისტორიის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, დირექტორის მოადგილე.
ალექსანდრე დაუშვილი - ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი.
ხათუნა იოსელიანი - საქართველოს ეთნოლოგიის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი.

სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე: **ლავრენტი ჯანიაშვილი**

სამეცნიერო საბჭოს მდივანი: **ლიანა ბითაძე**

02. 10. 2026

დანართი 1

თსუ ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს 2026 წლის 2 ოქტომბრის სხდომას ესწრებოდნენ მთავარი მეცნიერი თანამშრომლები:

- გიორგი ჭეიშვილი
- ლევან გორდეზიანი
- მარიამ ჩხარტიშვილი
- ავთანდილ სონღულაშვილი
- ქეთევან ხუციშვილი
- როლანდ თოფჩიშვილი
- ლიანა ბითაძე
- ვალერიან ვაშაკიძე
- ვახტანგ გოილაძე
- ეკა კვაჭანტირაძე
- ვაჟა კიკნაძე
- ალექსანდრე დაუშვილი
- ელდარ ბუბულაშვილი
- ნიკოლოზ ჯავახიშვილი
- ნინო მინდაძე
- ხათუნა იოსელიანი
- სალომე ოქრუაშვილი
- ლავრენტი ჯანიაშვილი